

გუნდების შერჩევა მოხდება 2 ეტაპად:

I ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

I ეტაპზე საჭირო იქნება მარტივი განაცხადის ფორმის შევსება, რომლის საფუძველზეც მოხდება გუნდის პირების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ფორმის შევსების შემდეგ ჩვენი გუნდისგან მონაწილეები მიიღებენ ავტომატურ შეტყობინებას რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით. რეგისტრაციის შემდეგ მოხდება შემოსული აპლიკაციების გადარჩევა და მეორე ეტაპზე გადასულ გუნდებს ეცნობებათ პასუხი მეილის მეშვეობით. კონკურსის ორგანიზატორები, შევსებული სააპლიკაციო ფორმებზე დაყრდნობით შეარჩევენ იმ გუნდებს, რომლებსაც ტექნიკურად სწორად ექნებათ სააპლიკაციო ფორმა შევსებული და გადავლენ მე-2 ეტაპზე. ჭურადლება გამახვილდება გუნდის გამოცდილებაზე.

II ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

II ეტაპისთვის გუნდებს მოუწევთ შეიმუშაონ და წარადგინონ:

- რობოტის პროტოტიპის სკეჩი (ნახაზი)
- რობოტის ზუსტი ზომები, იმ კატეგორიისთვის, რომელშიც იღებენ მონაწილეობას
- მასალები, რომლითაც აწყობენ რობოტს
- მოკლე საინფორმაციო ვიდეო გუნდის შესახებ

მეორე ეტაპის შემდეგ მოხდება საბოლოო ეტაპისთვის გუნდების შერჩევა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი რობოტის იდეის ინოვაციურობა, კრეატიულობა და საბრძოლო შესაძლებლობები. რობოტზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ვინ მიიღებს ბრძოლაში მონაწილეობას, შესაბამისად შეფასდება გუნდის მიერ გამოგზავნილი ვიდეოც.

საბოლოო ბრძოლის შეფასების კრიტერიუმები

გუნდების რობოტების შეფასება მოხდება 3 მთავარი კრიტერიუმის მიხედვით:

● დაზიანება– 5 ქულა

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის გამძლეობა, რამდენად ნაკლებად იღებს რობოტი დაზიანებებს სხვა კონკურენტული რობოტისგან და ინარჩუნებს პირვანდელ სახეს. ასევე შეფასდება იმ შემთხვევაში თუ მოხდება რობოტის თვითდაზიანება.

● შეტევა– 3 ქულა

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის მიერ მონინალმდეგის ნინალმდეგ განზრახ ინიცირებული თავდასხმების სიხშირე, სიმძიმე (რამდენად მძიმედ დააზიანა მონინალმდეგე). აღნიშნულ კრიტერიუმში ნაკლები ქულა ასევე შეიძლება დაინეროს იმ შემთხვევაში

თუ რობოტი არ გამოიყენებს აქტიურ იარაღს და მხოლოდ ჯავშნის ან პასიური იარაღის მეშვეობით შეუტევს ოპონენტს მრავალჯერადად.

- **კონტროლი- 3 ქულა**

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში, შეფასდება რობოტის კონტროლის სისტემები, რამდენად ეფექტურად შეუძლია რობოტს საკუთარი სისტემის კონტროლი, შეტევის იარაღების გამოყენება, რამდენად გამართულია ფუნქციები.